ხუთშაბათი, 1918 წ. აპრილის 12 (25) № 79

ყოველდღიური გაზეთი

ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 35 კაპ.

# საქართველო

**რედაქცია**

ხელნაწერთა მასალა უნდა იყოს დაწერილი ქაღალდის ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის გვარი და მისამართი. უსახელო წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი ხელნაწერი მასალა არ ინახება და რედაქცია ავტორთა მიწერ-მოწერას შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღეებისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

**კონტორა**

ხელის მოწერის ფასი: წლიურად 18 მ. თვეში 1 მ. 60 კ. განცხადებების ფასი: პეტიტის სტრიქონი... 80 კ. ... 50 კ. ... 80 კაპ. ... 16×2—10 მანეთი, 20×2—13 მანეთი, 30×2—15 მანეთი... ქალაქში 1 მან. ... 1 მ. და 50 კ. ... კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15—7

## დღეს:

### ცნობები:

ამიერ-კავკასიის მთავრობის თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი აცხადებს: აპრილის 11-დან კავკასიის ფრონტზე სამხედრო მოქმედება შეწყვეტილია.—

ხმებია: კავკასიის ლაშქრის მთავარსარდალი ლებედინსკი და შტაბის უფროსი ლევანდოვსკი თანამდებობიდან გადადგნენო.—

საქ. ეროვ.-დემ. პარტიის ხელმძღვანელების კომიტეტი ღრმა მწუხარებით აღნიშნავს საუკეთესო ამხანაგების, ქართული ბატალიონის ჯარის კაცების

**გრიგოლ ჩიქოვანის და სარიშვილის**

მეჯინიბურის ბრძოლაში ტრაგიკულად გარდაცვალებას.

დღეს, ხუთშაბათს, 12 აპრილს ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროვოდ და ტრაგიკულად გარდაცვლილის

**მიხეილ (მიშა) ალექსანდრეს ძის აბულაძის**

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ძმა იუსტინე ირაკლის ძე და მეუღლე ნინა მაქსიმეს ასული აბულაძენი და მამიდა ელისაბედ ირაკლის ასული გულისაშვილისა და სიძე ილარიონ მიხეილის ძე გულისაშვილი. წირვა დაიწყება დილის 9 საათზე.

1—1572—1

## სახელმწიფო ღალატი

ამიერ-კავკასიის ახალგაზრდა სახელმწიფოს და მის მთავრობას ფრიად ღალატთან უხდება ბრძოლა. სახელმწიფოს სატახტო ქალაქში, სადაც იკრიბება სეიმი და სადაც სცხოვრობს მთავრობა და იმ წუთს, როდესაც ახალი სახელმწიფო პირველად იკიდებს ფეხს, მოღალატენი ხალხისა და სახელმწიფოსი და გარეშე მტერთაგან მოსყიდულნი პირნი აშკარა აჯანყებას აწყობენ და მოუწოდებენ ხალხს რათა გარეკილ იქმნას სეიმი, დამხობილ იქმნას მთავრობა და მით ძირშივე ჩაკლულ იქმნას დამოუკიდებლობა ამიერ-კავკასიის სახელმწიფოსი.

ვინც წაიკითხავს რუსულ გაზეთის „ზნამია ტრუდას" უკანასკნელ ნომერს, რომელშიაც აშკარა აჯანყებისკენ მოუწოდებენ ხალხს—ის დარწმუნდება რომ საქმე გვაქვს ნამდვილ სახელმწიფო ღალატთან. ვინ არიან ეს მოღალატენი და ვისთვის ამყარებენ ისინი თავის იმედებს, როდესაც ბრძოლას მთელ სახელმწიფოს უცხადებენ? კავკასიის დამოუკიდებლობა გამოცხადებულ იქმნა კავკასიის ერთა წარმომადგენლების ერთსულოვან ვოტუმით. სეიმის ისტორიულ კრებაზე არ აღმოჩნდა არც ერთი ფრაქცია, ნამდვილად ქართული, ნამდვილად თათრული, ან ნამდვილად სომხური, რომელიც წინააღმდეგი ყოფილიყო ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობისა. მხოლოდ რუსი კადეტები და მხოლოდ რუსი სოციალისტ-რევოლუციონერები იყვნენ ამ დამოუკიდებლობის წინააღმდეგნი. იმის ფიქრი, რომ ეს რუსული ფრაქციები ქართულ, თათრულ, ან სომხურ ძალებზე ემყარებიან ყოვლად წარმოუდგენელია. წარმოუდგენელია აგრეთვე, რომ ქართული, თათრული, ან სომხური მასსა ნახარს დაუჭერს მათ იმ ავანტიურაში, რომლისკენაც ახლად მოვლენილი მოღალატენი იწვევენ. დარჩა ერთად ერთი რუსის ელემენტი, რომელიც ჰყავს სახეში ალბათ „ზნამია ტრუდას" და რომელსაც შეუძლიან დაეყრდნონ სახელმწიფოს მოღალატენი. მაგრამ ამ რუსის ხალხის შესახებაც უნდა განვაცხადოთ, რომ დიდი უმრავლესობა მისი, თუნდაც სულ მავრაზმულ იდეებით სულდგმულობდეს, ვერ გაბედავს ამ აშკარა სახელმწიფო ღალატს და ქვეყნდში ვერ გამოუდგება „ზნამია ტრუდას" პოლიტიკურ შარლატანებს, გაიყიდველებს, პროვოკატორებს, და მოღალატეებს. მაშასადამე დარჩენ რუსულ კადეტების წარმომადგენელნი, რომლებიც რუსეთთან ომით ეფემურობენ და სოციალისტ-რევოლუციონერების კონწეროები, რომლებიც თავს იყრიან „ზნამია ტრუდაში", „ნაროდნაია სვობოდაში", „იზვესტიაში", სხვა და სხვა შტაბებში და კანცელარიებში და რომლებიც სოციალისტურ და რევოლუციონურ სამოსელში გახვეულნი მუდამ ყოველგვარ სიფრთხეს წარმოადგენენ ამიერ-კავკასიისთვის. მხოლოდ ესენი და არა სხვა ვინმე—არიან ნამდვილი მოღალატენი! რევოლუციის და დემოკრატიზმის სახით ისინი ხალხს აჯანყებისკენ მოუწოდებენ. მაგრამ ხალხმაც და მთავრობამაც უნდა იცოდეს, რომ ეს მოწოდება ღალატია, ღალატი, რომელიც ბოლშევიზმის შემოსევის იმედებით იკვებება და თუ ეს შემოსევა მოხდა, მაშინ ის რუსობაც, რომელიც ეხლა შესაძლებელია აშკარად არ გაჰყვეს „ზნამია ტრუდას" პოლიტიკურ შარლატანებს და მოღალატეებს, იძულებული იქნება გარემოების ძალით აქტიური გახდეს და ამიერ-კავკასიის რუსეთისთვის დაბრუნება მოისურვოს.

ახალგაზრდა სახელმწიფო და მისი მთავრობა ამ რიგად აშკარა ღალატის წინაშე დგას, რომელიც ემუქრება ერთსაც და მეორესაც, ამიერ-კავკასიამ უნდა დაამტკიცოს, რომ ის სახელმწიფოა, რომელიც ვერ იტანს ვერაგულ ღალატს, მთავრობამ კი—რომ მას ძალა შესწევს ღალატი იარაღით დაარღვიოს. ჩვენ მოვითხოვთ სასჯელს მოღალატეების, რათაც უნდა დაჯდეს ეს.

## ახალი სახელმწიფოს დაცვისთვის

ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას ერთსულოვნად არ შეხვდნენ ამიერ-კავკასიის მცხოვრებნი. ყველამ იცის, რომ 9 აპრილის აქტით ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებრივი განვითარება ახალს მიმართულებას იღებს. ამიერ-კავკასიის საზღვრები იკეტება ჩრდილოეთის მონობისა და ველურობისათვის და იხსნება ახალი გზები ევროპის კულტურისა და სინათლისკენ მიმავალი.

რუსეთის ერთი საუკუნის საქართველოში და მთლად ამიერ-კავკასიაში ბატონობა იყო მძიმე და აუტანელი აღგილობრივ ერთათვის. ადგილობრივ ხალხთა ყოველგვარი თავისუფლება და თვითმოქმედება დახშული და დამონებული იყო. ამ მონური უღლის გადაგდებას აღფრთოვანებით და აღტაცებით შეეგება ამიერ-კავკასიის ყველა ერები. მაგრამ ეს აღტაცება და სიხარული ნაადრევი გამოდგა. რუსეთის თვითმპყრობელობის ნანგრევებზე ამოცენდა ახალი წითელი იმპერიალიზმი, რომელიც ძველ მთავრობაზე უფრო უხეში და ველური ზომებით შეებრძოლა რუსეთის ერთა თავისუფლებას. ბოლშევიკური მთავრობა ცეცხლით და მახვილით ახშობს ხელდება უკრაინის, ფინლანდიის, დონის თუ თურქესტანის ერებს და მისივე საშინელი ომი გამოუცხადა ამიერ-კავკასიას, რომელიც არ თანხმდებოდა ბოლშევიკური მთავრობის დამორჩილებას. ფიზიკური თავდაცვა, ხალხის არსებობის შენახვა ჩვენება მოითხოვდა ჩვენგან ამ ჩრდილოეთის ველურობისაგან თავდაცვას. ჩვენი ხალხის თავისუფალი განვითარება ხომ შეუძლებელი იქნებოდა, თუ დროზე არ გამოვეყოფოდით იმ სახელმწიფოს, რომელიც აქამომდე თვითმპყრობელობისა და თვითნებობის ბუდე იყო და დღეს კი საშინელი ანარქიისა და საზოგადოებრივი გახრწნილების ასპარეზი გახდა.

დიდის დაგვიანებით, მაგრამ ამიერ-კავკასიის ერებმა გადაწყვიტეს ამ საშინელი კოშმარისაგან თავის დაღწევა და 9 აპრილს თავის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ აქტს აუხირდა ყველა, ვინც ჩვენს ქვეყანაში რუსეთის ბატონობით არის დაინტერესებული. თვით სოციალ-დემოკრატიული რუსული გაზეთებიც კი („ნაში" და „იზვესტია სოვ. რაბ. ი სოლდ. დეპ.") ვერ ჰფარავენ თავის უკმაყოფილებას. რასაკვირველია, რუსი კადეტები დიდად არიან განრისხებული და რუსი სოციალისტ-რევოლუციონერების გაზეთი კი თავის ბოლშევიკური მოწოდებით „მეუშებისა, სალდათებისა და გლეხებისადმი" პირდაპირ მოუწოდებს ხალხს ამიერ-კავკასიის მთავრობის წინააღმდეგ ამბოხებისთვის.

ის წრეები, რომელნიც რუსეთის ჩვენს ქვეყანაში ბატონობით საზრდოობდნენ, რასაკვირველია, უკმაყოფილო დარჩებოდნენ ჩვენი ქვეყნის რუსეთის კლანჭებისაგან განთავისუფლებით. გასაგებია მათი სურვილი, რომ რუსეთის ხულიგნური ბრბოები კიდევ შემოიჭრნენ ჩვენს ქვეყანაში და ძველი ბატონობა აღადგინონ. როგორც ძველ თვითმპყრობელ რუსეთს დარჩა აქ თავისი ერთგული მსახურნი, ისე ახალს ბოლშევიკურ რუსეთს ჰყავს აქ თანამგრძნობები. მათი სურვილები ყველასათვის გასაგები უნდა იყოს, მაგრამ რასაც ეხლა ისინი სჩადიან, ამას ვერავითარი სახელმწიფო, ვერავითარი მმართველობა და მთავრობა ვერ მოითმენს. ყველა ეს რუსეთის ბატონობის ერთგული მსახურები და ლაქიები, შავსა თუ წითელს სამოსელში გამოწყობილნი, ამიერ-კავკასიის თავისუფლებას ემუქრებიან, ამიერ-კავკასიის მთავრობას უხედრდებიან, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აშკარა ბრძოლას უცხადებენ!

მთავრობამ სასტიკი ზომები უნდა მიიღოს ამიერ-კავკასიის სახელმწიფოს ყველა მოღალატეების წინააღმდეგ, სულ ერთია „კონტრ-რევოლუციონური" მოღალატეობა იქნება ეს, თუ რევოლუციონური და ბოლშევიკური.

ახლად შედგენილ მთავრობას ძიმე მოვალეობა ეკისრება ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადებით. ერთის მხრივ თავდაცვის წარმოება სამხრეთით და ასეთივე დაცვა ყველა დანარჩენი საზღვრების ბოლშევიკური რუსეთის შემოსევისაგან. მთავრობას ჰმართებს ყველა ადგილობრივი, ამიერ-კავკასიის თავისუფლების ერთგული და საიმედო ძალების შემოკრება ყველა ამ გარეშე და შინაურ მტერთაგან საბრძოლველად. თუ მთავრობამ მდგომარეობის შესაფერი სიმტკიცე და ძალა არ გამოიჩინა შინაგანი მოღალატენი ადვილად გასტეხენ ციხეს შიგნიდან და მით გარეშე მტერს გაუადვილებენ ჩვენი ქვეყნის ხელ ახლა დამონებას და დამორჩილებას.

## ომის პერსპექტივები და საქართველოს ორიენტაცია

სამიოდე თვის შემდეგ მსოფლიო ომის მეხუთე წელი დაიწყება...

პირველ ხანებში დიდ ყურადღებას იწვევდნენ ფალკენჰაინის, ტირპიცისა და სხვათა იდეების ზეგავლენით დასავლეთისკენ აზიდულებულ გერმანელთა ხმლები, მაგრამ მარნთან ბრძოლაში, მათი ხმლები ფრანგთა სისხლმა შეგანგა და მარნთან ბრძოლითვე მიეცა „დასავლეთელების" შუქური.

აქედან იწყება „აღმოსავლეთელთა" მზის ამოსვლა. მოძღვრის ქება ბეტმან ჰოლვეგის და ჰინდენბურგისა.

მიზნად ისახება „შუა ევროპის" („Mitteleuropa") შექმნა, სადაც უნდა შევიდნენ ერთ სამეურნეო წრეში მოქცეულნი: გერმანეთი, ავსტრო ჰუნგრეთი, ბალკანეთის სახელმწიფონი და ოსმალეთი. ეს კი გერმანიას დიდ ეკონომიურს უპირატესობას მიანიჭებს, ვინაიდან მის ხელთ იქნებიან უმდიდრესი ქვეყნები და მიწები გამბურგიდან დაწყებული ბაღდადამდის. ამასთანავე გერმანეთი დაემუქრებოდა ინგლისის „კისრის ხერხემლად" წოდებულ მისრეთს (ეგვიპტეს) და ინგლისისავე უდიდეს ახალშენს, ინდოეთს.

ახლა ვიკითხოთ: რამდენად აუსრულდათ ბრწყინვალე პერსპექტივები მათ, ვისაც მხოლოდ ერთი ალტერნატივა: Weltmacht oder Nidergang ამოქმედებთ?

უპირველეს ყოვლისა რუსეთის დამარცხება იდღესასწაულეს. ეს ერთი საფრთხის თავიდან მოშორება. თუმცა პ-ულ როჰრბახი წინადვე აღნიშნავდა, რომ რუსეთის იმას შეეშინდება, ვინც მას ვერ სცნობსო. როჰრბახმა წინასწარ იმეტყველა: „რუსეთს რევოლუცია იმდენად დაასუსტებს, რომ გერმანეთს სრულს გამარჯვებამდის მიიყვანსო".

ეს ასეც მოხდა.

სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ცენტრალური სახელმწიფონი ამ გამარჯვების ნაყოფით ბოლომდის ისარგებლებენ. ეს კი კარგად არ იმოქმედებს პარიზის ციხეზე. პარიზის ციხის ყოველ შეზღუდვაზე ზრუნავს ცხიერი ალბიონიც. ძნელია იმის თქმა: მოახერხებს თუ არა, აღმოსავლეთისაკენ, თითქმის, მთლად ხელებ-განთავისუფლებული, გერმანეთი, საფრანგეთისადმი ზავის კარნახს, მაგრამ იმის თქმა კი დანამდვილებით შეიძლება, რომ არის შანსები „შუა ევროპის" იდეის განხორციელებისა. რუმინეთმა, კარგა ხანია, რაც ზავი შეჰკრა გერმანეთთან. თუ უკანასკნელ ცნობებს დავეყრდნობით, გერმანეთს ზავით შეჰკვრია აგრეთვე სერბია და მონტენეგრო.

რადაც უნდა დაჯდეს გერმანეთს საფრანგეთთან საქმის გასწორება, მე მგონი, რომ, იგი შეეცდება მის ავად თუ კარგად გადაწყვეტას, და შემდგომ შეუდგება „აღმოსავლეთის მიზნების" განხორციელებას, რადგან, როგორც აღნიშნავს გერმანელი ცნობილი პუბლიცისტი რუდოლფ მარტინი („რუსეთის მომავალში"): „რუსეთის რევოლუციით დასრულდა გერმანეთის იმპერიის ჭაბუკობის ხანა და იწყება დიდი ისტორიული ეპოქა... რუსეთი როგორც სახელმწიფო დაინგრევა... და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანეთი შეიძენს თავის დანიშნულებას".

პირველი ნაბიჯი აღმოსავლეთის მიზნის განხორციელებისად გახლავთ: გამბურგიდან აზიის შუა-გულამდის უდიდეს რკინის გზის გაყვანა, რომლის მთავარ სადგურად იქნებიან: ბერლინი, ვენა, ბუდაპეშტი, ბელგრადი, სოფია, კონსტანტინოპოლი და ბაღდადი.

უცხოეთის პრესაში უკვე გვხვდება ცნობები იმის შესახებ, რომ ახლო-მომავალში მოსალოდნელია გერმანეთისა და ინგლისის შეტაკება კავკასიის და სპარსეთის მიმართულებით. ერთი შვედური გაზეთი „დეილი ხრონიკლი" უხებს რუმინეთსა და გერმანეთს შორის დადებულ ხელშეკრულების მეშვიდე პუნქტს, რომლის თანახმადაც, რუმინეთი ჰპირდება გერმანეთს, რომ ავსტრია გერმანეთის ჯარებს ოდესით გამოატარებს.

ეს პუნქტი გერმანეთს დუნაის შესართავთან ახალ ჰელგოლანდის შექმნის საშუალებას აძლევს, და, თუ კოალიცია შეეცდება სრუტეების გამოკეტვას, აქედან გერმანელები წინააღმდეგობას გაუწევენ. ამას გერმანეთი აქედან ადვილად შესძლებს აზიის ფრონტზე ძლიერ ძალების გადასხმას.

„დეილ-ხრონიკლი" სხვათა შორის გვაუწყებს, რომ ამას წინად, ბერლინში, სამხედრო საბჭომ, რომელსაც თვით ვილჰელმი თავმჯდომარეობდა, განიხილა საკითხი, შავ-ზღვით ამიერ-კავკასიაში რამდენიმე კორპუსის გადმოსხმის შესახებ. ამიერ-კავკასიიდან, საბჭოს აზრით, კორპუსები გაიგზავნებიან ბაღდადისაკენ სპარსეთის მიმართულებით.

ადვილი შესაძლებელია ამ გეგმის განხორციელება. მოსალოდნელია, რომ ამ ზაფხულს ამიერ-კავკასიასა და სპარსეთში გერმანეთსა და ინგლისს „ინდოეთისკენ მოკლე გზისთვის" დიდი ბრძოლა მოუხდეთ. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ არც ინგლისი უყურებს გულგრილად ამ საკითხს. ვაშინგტონში ამერიკელებთან იგი მსჯელობს იმის შესახებ, თუ როგორ მოახერხოს ამიერ-კავკასიის მხრივ ბაღდადის შესანარჩუნებლად ომში ჩაბმა.

იქნებ აცხადდეს გერმანელთა ცნობილ სამხედრო მიმომხილველის გედკეს სიტყვები: „ომის ბორბალი კავკასიაში უნდა მოვატრიალოთო".

ჩვენსკენ „ბორბლის მოტრიალება" იქნება ცდა ომის მთავარ მიზნის განსახორციელებლად, და აქედან, ცხადი უნდა იყოს მისი სისასტიკე...

შესაძლოა, ახლო მომავალში, საქართველო გერმანეთისა და ინგლისის უსასტიკეს ომის უნებლიეთ მოწამე გახდეს, ამიტომ დღეს მაინც უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს უფლებას ჩვენი ინტერესები უნდა ჰქმნენ.

Unser interrese ist unser Becht, იტყვიან გერმანელები.

როგორი უნდა იყოს ჩვენი ორიენტაცია ასეთ პერსპექტივების წინაშე? ამაზე შემდეგ.

ს. ფირდანიშვილი.

## მოწოდება აჯანყებისაკენ

„ზნამია ტრუდა" (სოციალისტ-რევოლუციონერთა ორგანო) პირველ გვერდზე, უშველებელ ასოებით მოუწოდებს: (როგორც ეს ბოლშევიკების ორგანოს იცოდა).

**ამიერ-კავკასიის სეიმმა, ამიერ-კავკასიელ ბეგების ზეგავლენით, ამიერ-კავკასია დამოუკიდებლად გამოაცხადა.**

**გეგეჭკორის მთავრობა დაემხო.**

**ამიერ-კავკასიის მოქალაქენო, მოითხოვეთ საყოველთაო რეფერენდუმი.**

**ამხანაგო მუშებო, ჯარის კაცებო და გლეხებო მოითხოვეთ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ყრილობის მოწვევა!**

**ძირს ოსმალეთის იმპერიალიზმით ფარულად და აშკარად შეხყიდული პირები.**

**გაუმარჯოს ერთ რევოლუციონურ ფრონტს.**

**გაუმარჯოს რუსეთის რევოლუციას.**

კადეტების ორგანო „ნაროდნაია სვობოდა" სწერს: „ჩვენ ყოველთვის აღვნიშნავდით, რომ ხელმძღვანელ პარტიის არასოდეს არ გამოუჩენია სწორ-წონადობა და აზრიანობა. მის მოქმედებას ულოგიკობა ახასიათებდა და ყოველთვის შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. ასეთ შემთხვევითი მოვლენაა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის აღიარება. ეს მოუფიქრებელი ნაბიჯი პირდაპირი მცარცველის აქტია და მეტი არაფერი... რას მოგვცემს ჩვენ ეს დამოუკიდებლობა? ოსმალეთმა კარგად იცის, რომ რამდენადაც ამიერ-კავკასიას ნაკლები დამოკიდებულება ექნებოდა რუსეთთან, რამდენადაც რუსობა ცენტრიდან ნაკლებ წამოვა აქეთ, იმდენად ნაკლებ მოხდება რუსეთის კულტურული გავლენა ამიერ-კავკასიის ქრისტიან ელემენტებზე და უპირატესობას მისცემს მაჰმადიანობას. ამასთანავე ოსმალეთმაც იცის ისიც, რომ მისი გავლენის გაფართოებით გაიზრდება მისი ბატონობაც. ამიტომაც ამიერ-კავკასიის დღევანდელი აქტი იმავე დროს აქტია დამოუკიდებლობაზე უარის სათქმელად და ოსმალეთთან დამოკიდებულების განსამტკიცებლად... ამ გზით, თქმა არ უნდა, გაუმჯობესობით არას ვაუმჯობესებთ და პირდაპირ ვართულებთ დღევანდელს ჩვენს მდგომარეობას. ოსმალეთს კარგად ესმის, რომ რუსეთი ოდესმე მაინც დაიბრუნებს ამიერ-კავკასიას, იმისდა მიუხედავად, იქნება თავისუფალი იგი თუ ოსმალეთის სანჯაკი, ასევე უწყის ისიც, რომ მას შეტაკება მოუხდება რუსეთთან. ასე რომ თუ ოსმალეთი შეამცირებს თავის აგრესიულს პოლიტიკას, სამაგიეროდ რუსეთთან სამუდამოდ ჩავტეხეთ ხიდის. ცხადია, ოსმალეთთან ზავი ამ პირობებში სამარის განწყობილებაში გვაყენებს ისე არავისთან, როგორც... რუსეთთან. ჩვენ ვიცით, რომ უკრაინამაც განაცხადა თავისი სუვერენიტეტი, და დღეს მას უხდება ბრძოლა რუსეთთან, ვინაიდან რუსეთის ცენტრალი მთავრობა, რანაირიც არ უნდა იყოს იგი, გლახა თუ კარგი, ვერ შეიწყნარებს ასეთს მოქმედებას და შეიარაღებული ხელით ეცდება რუსეთის დაშლა შეაჩეროს. მაგრამ უბედურობა ეს არ არის, როდესაც ბოლშევიკებს ვებრძოდით, მთელს რუსეთს სჯეროდა, რომ ეს ბრძოლა იყო სამოქალაქო ომის თავიდან ასაცილებლად. დღეს კი, როდესაც ბოლშევიკები შეგვებრძოლებიან რუსეთის მთლიანობის სახელით, მის მხარეზე გადავა მცხოვრებთა სიმპატია და ჩვენს წინააღმდეგ დიდი ძალებით გამოემართებიან. ამნაირად ჩვენ ვდგევართ ოსმალეთთან საეჭვო ზავის წინ და რუსეთთან აუცილებელ ბრძოლის წინაშე. აი, ყველა ის რეზულტატები, რასაც მივიღებთ უკვე გადადგმულ ნაბიჯიდან"...

## ზავის გარშემო

**ინგლისელ სოციალისტების დელეგაცია**

**პარიზი.** მოკავშირე სოციალისტების კონფერენციამ, რომელიც ლონდონში მოხდა, ვაშინგტონში დელეგაცია გაგზავნა ვილსონთან და ამერიკის მუშათა ორგანიზაციებთან.

**ინტერვიუ გენ. ლიუდენდორფთან.**

ამას წინად გერმანულ გაზეთების კორესპონდენტებმა ინახულეს ჰინდენბურგი და ლიუდენდორფი დასავლეთ ფრონტის მთავარ ბანაკში. ვილნოს გაზეთი „ვილნერ ცაიტუნგ" ასე გადმოგვცემს მათ საუბარს:

გენ. ლიუდენდორფმა, სამხედრო პარტიის მეთაურმა, სხვათა შორის განაცხადა:

— ჩვენ ზავი შევკარით რუსეთის იმ ორ დიდ ნაწილთან, ფინლანდიასთან და უკრაინასთან, რომლებზედაც დაიყო იგი. ზავი ერთი ერთმანეთთან შეთანხმებით დავამყარეთ. ორივე მხარემ ჩვენ გვთხოვეს შველა იმ განუსაზღვრელ უწესოებასთან ბრძოლაში, რომელიც გამოიწვიეს რუსეთის ბოლშევიკებმა.

უკრაინასთან ჩვენ გვაკავშირებს სასურსათო საკითხი. ჩვენ მისგან მივიღებთ სათადარიგოდ შენახულ სურსათს.

ჩვენ არ შეგვეძლო ფინლიანდიის მეგობრულად გამოწვდილ ხელზე ხელი არ გაგვეწვდინა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ინგლისს მიმართავდა. ჩვენ უნდა დავუცვათ სრული სიმშვიდე და მოთმინება. მალე უკრაინაში და ფინლიანდიაში წესიერება აღსდგება.

რუსეთთან ზავის შესახებ ლიუდენდორფმა განაცხადა რომ გიგანტიური სახელმწიფო უეცრად დაეცა და ამაში თითონვე მიუძღვის დანაშაული.

# ომი

## ოსმალეთის შემოტევა

**10 აპრილი 15 საათი.**

**ზღვის პირის მიმართულებით.** ნატანების სამხრეთით პოზიციებზე კანტიკუნტი სროლაა. 8 აპრილს მდ. ჩოლოქსა და ოჩხამურს შუა ოსმალთ 4 ვერსით დავახევინეთ, სხვათა შორის დავატყვევეთ ორი ასკერი და 20 ვინტოვკა წამოვიღეთ. დათვლილია 80 ოსმალოს გვამი. ჩვენმა ნაწილებმა უკან დაიბრუნეს ჩოლოქი.

**ზეკარის და არტანის რაზმებში** ცვლილება არ მომხდარა.

**სარიყამიშის მიმართულებით.** 9 აპრილს გათენებისას, საარტილერიო მზადების შემდეგ ოსმალებმა შეუტიეს ზეგლი-აპმედის რაზმს და აღმოსავლეთით მის მარცხენა ფრთას შემოუარეს. მოწინააღმდეგის შეტევით რაზმმა ვლადიკარსის დასავლეთით დაიხია. ყარსის ჩრდილო-აღმოსავლეთით ს. ს. მცირე-ვარანცოვკის, პროხლადნაიას, რომანოვკის, მაცრსა და მაშვადიკლიარის რაიონში ქურთებმა თარეში დაიწყეს. მათ წინააღმდეგ რაზმები გაიგზავნა.

**სარაყამიშის მიმართულებით.** 9 აპრილს საღამოთი ერთმა ჩვენმა ნაწილთაგანმა მტერს აღმოსავლეთით შემოუარა. 10 აპრილს დილით, მდგომარეობა განახლდა. ჩალაგაურის ქედიდან (ყარსიდან ჩრდილო-დასავლ. 8 ვერსით) 9 აპრილს 13 საათზე, ს. ბლაგოდარნოესკენ ოსმალებმა საარტილერიო ცეცხლი გააჩაღეს.

ქ. ქ. სოუჯ-ბულაღი და უშნუე ადერბეიჯანი, ურმიის ტბის სამხრეთ დასავლეთით ოსმალთა რეგულიარულ ჯარსა და ქურთთა ბრბოებს დაუპყრიათ.

**შატილოვი.**

# რუსეთი

**შიმშილი.**

სმოლენსკის, მოსკოვის და პეტროგრადის გუბერნიაში საშინელი სიმშილი ჩამოვარდა. სახალხო კომისართა საბჭო სასწრაფო ზომებს ღებულობს შიმშილის თავიდან ასაცილებლად.

**უკრაინის დელეგაცია მოსკოვში.**

მოსკოვში სახალხო კომისართა საბჭოს წარუდგა უკრაინის საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკის დელეგაცია. დელეგაციაში შედიოდნენ უკრაინის სკრიპნიკი, კოციუბინსკი, ეტესევიჩი და ვოულევსკი. უკრაინის დელეგაციამ წაუკითხა დეკლარაცია სრულიად უკრაინის საბჭოთა მეორე ყრილობის მიერ გამოქვეყნებული, შესახებ უკრაინის სახალხო რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა, როგორც საბჭოთა სოციალისტურ ფედერაციის. სახალხო კომისართა საბჭოს წევრებმა საპასუხო სიტყვაში აღნიშნა რომ ისინი სცნობენ უკრაინის საბჭოთა მთავრობას.

**დონის რესპუბლიკა.**

რადის კიევლი მთავრობა რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკის მთავრობას წინადადებით მიჰმართავს შეაჩეროს ძმათა სისხლის ღვრა და საზავო მოლაპარაკება დაიწყოს. თითქოს ეს ებრძვის ველიკოროსიას და არა ჩვენი რესპუბლიკის მუშებს. კიევის მთავრობა აღიარებს მხოლოდ ისეთ ზავს, რომლითაც ტერიტორია დონისა, ნოვოროსიისკისა და კრივოროჟის რესპუბლიკისა გაივსება კიევის მთავრობის ჯარით და ჩვენი რესპუბლიკის ხალხის ნებას ჩაახშობს ძალა გერმანელ იმპერიალისტებისა. ჩვენ, რესპუბლიკის მთავრობა ვაცხადებთ: თუ არ იქმნა ორივე მხრისგან აღიარებული ჩვენი რესპუბლიკა, ჩვენ არავითარ ზავს არ მივიღებთ. იარაღით ხელში ჩვენი ხალხი წინააღუდგა კიევის მთავრობას, რომელმაც ჩვენი მხარე აავსო გერმანულ ჯარებით და ჩვენ არ დავყრით იარაღს, სანამ არ გავლენ იგინი ჩვენი მიწა-წყლიდან და ჩვენ არას დავთმობთ, მაშინაც კი როცა ერთი შეიარაღებული კაცის მეტიც არ გვეყოლება. იარაღით ხელში არ დავთმობთ მამულის ერთ მტკაველსაც.

ვაცხადებთ, რომ კიევის მთავრობას არავითარი უფლება არა აქვს დაიპყრას ჩვენი რესპუბლიკა ავსტრია-გერმანულ ხიშტებით. კიევის მთავრობამ კარგად უნდა უწყოდეს რომ რუსეთის ფედერატიულ რესპუბლიკის საბჭოთა ყრილობაზე, 15 თებერვალს შესდგა რესპუბლიკის მთავრობა, რაც შეეხება რესპუბლიკის საზღვრებს, ისიც კარგად უნდა უწყოდეს კიევის მთავრობამ. სულ რამდენიმე თვის წინედ კიევის რადამ თავად ლვოვთან და ტერეშჩენკოსთან გამართულ მოლაპარაკებით დაადგინა უკრაინის აღმოსავლეთი საზღვრები, როგორც უცილოდ მიღებული. დღეს კიევის მთავრობის მოქმედება მხოლოდ მისი სიხარბით თუ აიხსნება. ამისთვის ჩვენი რესპუბლიკის სახელით მივმართავთ ფედერაციის და რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს მთავრობას მიიღოს კიევის მთავრობის წინადადება: დაუყოვნებლივ შეაჩეროს ავსტრიელ-გერმანელ ჯართა შემოტევა, შეკრულ იქნას ზავი ჩვენს ავტონომიურ რესპუბლიკასთან, დროებით შეაჩეროს ომი და დადგენილ იქმნას საზღვრები.

დონის კრივოროჟის რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, გარეშე საქმეთა კომისარი სერგეევი, სამხედრო საქმეთა კომისარი რუხიმოვიჩი, ფინანსთა კომისარი მეჟლაუკი, შრომის სახალხო კომისარი მაგიდოვი. („ბაქოს იზვ.")

**მთავარი კომიტეტის კრება. დღეს, 12 საათზე, დანიშნულია მთავარი კომიტეტის კრება. განსახილველია საყურადღებო საკითხები. წევრთა დასწრება სავალდებულოა.**

# ქრონიკა

## თბილისი.

◆ **გეგეჭკორის მთავრობის გადადგომის** გამო თავის თანამდებობაზე უარი განაცხადა მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ ე. მ. შურმანმა, მაგრამ მთავრობამ უარი არ მიიღო.

◆ **ომის შეწყვეტა კავკასიის ფრონტზე.** ამიერ-კავკასიის მთავრობის თავმჯდომარე ა. ი. ჩხენკელი ოფიციალურად აცხადებს, რომ აპრილის 11 კავკასიის ფრონტზე ორივე მხრით სამხედრო მოქმედება შეწყვეტილია.

◆ **ამიერ-კავკასიის მთავრობამ** აპრილის 10 ამიერ-კავკასიაში უცხოეთის კონსულთა უხუცესს იტალიის კონსულს ლორენცო ვალერის შემდეგი ტელეფონოგრამით მიმართა: „აპრილის 9 (23) სხდომაზე ამიერ-კავკასიის სეიმმა გადასწყვიტა გამოეცხადა ამიერ-კავკასიის დემოკრატიულ ფედერატიულ რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. გატყობინებთ რა ამას ბ-ნო კონსულო, გთხოვთ ეს აცნობოთ უცხოეთის ყველა წარმომადგენლებს, რომლებიც თბილისში ჩამოდიან". ამიერ-კავკასიის მთავრობის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი

ა. ი. ჩხენკელი.

◆ **კონტრ-რევოლუციონერის დაპატიმრება.** გუშინ დილით I კომისარიატის მილიციელებმა დააპატიმრეს ყოფილი პოლიციელი გ. გაგნიძე, რომელმაც ძველი რეჟიმის დროს სახელი მოიხვეჭა პოლიტიკურების დაპატიმრებაში და შევიწროებაში.

◆ **მთავარ-სარდლების გადადგომა.** სარწმუნო წყაროებიდან გვატყობინებენ, რომ თანამდებობიდან გადადგნენ კავკასიის ლაშქრის მთავარ-სარდალი გენ. ლებედინსკი და შტაბის უფროსი ლევანდოვსკი.

◆ **კავკაველთა დელეგაციის ჩამოსვლა.** თბილისში ჩამოვიდა და საქართველოს ეროვნულ საბჭოს წარუდგა კავკაველ ქართველების წარმომადგენელი. კავკაველ ქართველებს გადაუწყვეტიათ 200 შეიარაღებული კაცი გამოგზავნონ ეროვნულ საბჭოს განკარგულებაში. განზრახულია საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მიმართოს ჩრდილო მთიელთა მთავრობას საქართველოსაკენ გამოუშვან ეს 200 შეიარაღებული ქართველი საპირო სურსათით.

◆ **განჯიდან ჯავშნიან მატარებლის** უფროსი და სარკინიგზო მთავარ კომიტეტის წევრი დეპეშით ატყობინებს გზათა მიმოსვლის მინისტრს: მთავრობის განკარგულებით მე მომცეს დირექტივები გზის დასაცავად. ჩვენ წინადადებას გვაძლევენ ბრძოლაში მონაწილეობა მივიღოთ, მაგრამ მე უარი განვაცხადე, რადგანაც მთავრობის შესაფერი განკარგულება არ მომსვლია. უკვე განჯაში მოვედი დაზიანებულ მატარებლის შესაკეთებლად. თბილისისაკენ რკინის გზის ორივე ლიანდაგი აყრილია. დილაზე შევუდგები ბოროტ-გამზრახველთა აღმოჩენას და მოძრაობის აღდგენას. თუ ბრძოლაში მონაწილეობის მიღება საჭიროა, მაშინ განჯაში გამოგზავნეთ, ან ერთი ერთი მინისტრი, ან ერთი ჯავშნიანი მატარებელი კიდევ და დაავალეთ მას ბრძოლაში მონაწილეობის მიღება.

◆ დღეს საღამოს, სახალხო თეატრში სახალხო სახლის სცენის მოყვარეთა მიერ ჟურნალ „ეშმაკის მათრახის" რედაქციის სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება „კრისტინე" დასაწყისი საღამოს შვიდ ნახევარ საათზე. ადგილების ფასი სახალხოა.

◆ **ქუთაისის გუბერნიის კომისარმა** კაჩუხაშვილმა საგარეო საქმეთა მინისტრს აპრილის 10-ს შეატყობინა, რომ ქუთაისის გუბერნიის ყველა ლტოლვილებს აძევებენ ქუთაისში და მცხოვრებნი მათ მტრულად არ ექცევიან. თავდაცვის სეკრეტარიებისათვის ზოგიერთ პირებს წინადადება მივეცი ქუთაისის გუბერნიის საზღვრებიდან გავიდნენ. ამას მოითხოვს თავდაცვის პირობები. თუ ჩემი განკარგულება უკანონოდ იცანით, მე თანამდებობიდან გადავდგები. მთავრობის თავმჯდომარემ აპრილის 11 კაჩუხაშვილს შემდეგი პასუხი გაუგზავნა: „კატეგორიულად გაძლევთ წინადადებას, ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოთ ბათუმის ოლქის ლტოლვილ ქართველ მაჰმადიანებს. ამ განკარგულების შეუსრულებლობა შეუწყნარებელია".

◆ **ქართულ კლუბის შემოსავლის განაწილება.** ქართული კლუბის წევრთა საერთო კრებამ დაადგინა, წარსული წლის შემოსავალი კლუბისა ასე განაწილოს: ქართველ მხედართა კავშირს 35 პროცენტი მთელი შემოსავლისა, 55,000 მან. საქართველოს ეროვნულ საბჭოს, ქართველ ტექნიკოსთა საზოგადოებას 2000 მ., კათოლიკოსის საბჭოს, ქართული უნივერსიტეტის სტუდენტთა გამგეობას 1000 მ., ქართველ გადმოხვეწილებს 3000 მ., ქართულ სახელმძღვანელოების გამომცემელ საზოგადოებას 2000 მ., ეთნოგრაფიულ საზოგადოებას 15,000 მან. უკანასკნელი გადაიდება მიმდინარე წლის შემოსავლიდან.

◆ **ერეკლე მეორეს გასამართლება.** შაბათს, 14 აპრილს, ქართულ კლუბის თეატრში საღამოს, გაიმართება ერეკლე მეორეს გასამართლება, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს რუსეთთან შეერთების ეპოქის საუკეთესო მცოდნე პირები.

◆ ყაზანის სამეთლო ინსტიტუტში კურსი დაასრულა ლევან ნ. ლეონიძემ, რომელიც ფიზიოლოგიის და ფიზიოლოგიურ ქიმიის კათედრასთან ასისტენტად იქნა დატოვებული.

## ახალი კაბინეთი

ა. ი. ჩხენკელის ახალ კაბინეთის შემადგენლობის შესახებ ჯერჯერობით შემდეგი ვიცით:

**ა. ი. ჩხენკელი ინიშნება—მინისტრ-თავმჯდომარედ.**

**გრ. გიორგაძე—გარეშე საქმეთა მინისტრად.**

**ევ. გობეჩია—გარეშე საქმეთა მინისტრის თანაშემწედ.**

ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტრო შინაგან საქმეთა სამინისტროს უერთდება.

უპორტფელო მინისტრის თანამდებობა უქმდება. დანარჩენი მინისტრები, ალბად, ძველ ადგილებზე დარჩებიან, გარდა ე. გეგეჭკორისა, რომელიც არ შედის ახალ მთავრობაში.

**ოდიშელიძეს** ეძლევა სამხედრო მინისტრობა. ამბობენ კარჩიკიანმა ფინანსების მინისტრობა ა. ხატისოვს შესთავაზა და ხატისოვმა წინადადება მიიღო.

**ახალი კაბინეთი.** ა. ჩხენკელმა უკვე შეადგინა ახალი კაბინეთი. მინისტრ-თავმჯდომარედ და საგარეო საქმეთა მინისტრად ა. ი. ჩხენკელი, შინაგან საქმეთა მინისტრი **ნ. ბ. რამიშვილი**, იუსტიციის მინისტრი **ხან-ხოისკი**, მიწად მოქმედების **ნ. ხომერიკი**, სამხედრო **გრ. გიორგაძე**, ფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ანსთა ა. ი. ხატისოვი, ვაჭრობა-მრეწველობის ჰაიდარ-გაჯიანცი, სწავლა-განათლების უსუფ-ბეგოვი, სახელმწიფო კონტროლიორი ჰაიდაროვი, გზათა-მიმოსვლის მელიქ ასლანოვი, მზრუნველობის კაჩაზნუნი, სასურსათო საკიანი, შრომის ერზინკიანი.

## ერევნის გუბერნიაში

ერევნიდან სეიმის მაჰმადიანთა ფრაქციის სახელზე დეპეშით იტყობინებიან: ლტოლვილ მაჰმადიანთა მდგომარეობა დღითიდღე უარესდება. მათი რიცხვი მარადღე კლებულობს. ხალხი იხოცება ქუჩებში, მეჩეთის კუთხეებში, ნანგრევებში, სიმშილ-სიცივისაგან. შველა არსით არ არის და თუ კავკასიის მთავრობამ და სეიმმა შემწეობა არ აღმოუჩინეს მათ სულ მოისპობიან. დაჟინებით ვითხოვთ თქვენგან ყოველგვარ შემწეობას და თქვენიერ მიღებულ ზომებსაც გაქცეულთა სოფლებში დასაბრუნებლად. ქალაქში და გუბერნიაში არეულობაა. გუშინ სომხის ჯარისკაცებმა ადგილობრივ სომეხთა მონაწილეობით გადასწვეს თათრის 8 სოფელი ახალბაიაზეთის მაზრაში, ხოლო ეჩმიაძინის მაზრაში 23 სოფელი. შეშინებული მაჰმადიანები ჩვენ შეგვეხიზნა, მაგრამ არც იმდენი შეძლება გვაქვს რომ ყველა დავაკმაყოფილოთ. ამისთვის სწყდება დიდძალი ხალხი. კვლავ გთხოვთ მატერიალ შემწეობას. მაჰმადიანთა განადგურებულ სოფლებში ლტოლვილი სომხობა დაბინავდა. 9 აპრილს, ბაზარში მოჰკლეს 15 თათარი. დღეს მოჰკლეს კვლავ სამი თათარი. სომხების ნადირობა გრძელდება. წუხელის გადასწვეს ბრინჯის გასასუფთავებელი მანქანები, წისქვილები და დუქნები. ერთი სიტყვით დიდი უბედურობა დაგვატყდა თავს და არვინ არის, რომ ესოდენი უბედურობა შეგვიმსუბუქოს. ქალაქის მდგომარეობა დღითი დღე რთულდება.

## ამიერ-კავკასიის სეიმში

**9 აპრილის სხდომა.**

სეიმის ამ საისტორიო სხდომას თავმჯდომარეობს კარლო ჩხეიძე.

### ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა.

**დ. ონიაშვილი** (ს.-დ.). ამიერ-კავკასიის ერები—ასე იწყებს მოხსენებას დ. ონიაშვილი—ითმენდნენ რუსეთის თვითმპყრობელ რეჟიმს, თუმცა ის უდიდესი მტრად მწვავე და სამძიმო იყო. მდგომარეობა პოლიტიკური ისეთი იყო, რომ გარეშე რუსეთისა და რუსულის სხვა ორიენტაციის შექმნა არც შეიძლებოდა და არც საჭირო იყო, რუსეთის რევოლუციამ, რომელიც ამ ერთი წლის წინად წარმოიშვა, უფრო გააძლიერა ეს დაჩაგრულ ერებში რუსეთის ორიენტაცია, რადგან რევოლუციისაგან ყველა სამართლიანად მოელოდა თავისუფლებას, ხოლო თვითეული ერი რუსეთისა, მათ შორის ამიერ-კავკასიის ერნიც, დარწმუნებულნი და მოიმედენი იყვნენ იმისა, რომ რევოლუციონური რუსეთი არ შეაფერხებდა მის თავისუფალ განვითარებას, არ წინააღმდეგობოდა მის პოლიტიკურად თავისუფალ ცხოვრებას. ამიტომ იყო რომ ამიერ-კავკასიის ერნი იბრძოდნენ რუსეთის დემოკრატიასთან ერთად და საკუთარ ინტერესებს დროებით არ მოითხოვდნენ, რადგან ცდილობდნენ საერთო საქმის შეერთებული ძალით განმტკიცებას.

მაგრამ ბედმა სხვანაირად, სხვა გზით წარმართა ჩვენი ცხოვრება: ოქტომბერში რუსეთის ძალაუფლება ხელთ იგდეს ბოლშევიკებმა და მთლიანი ფრონტიც დაირღვა. ბოლშევიზმმა, როგორც მოძრაობამ, დაჰკარგა იდეიური სახე და მიიღო სოციალიზმის საწინააღმდეგო ხასიათი. ამნაირად, დღეს-დღეობით რუსეთში არის რეაქციონური მოძრაობა. ჩვენ უნდა უარვყოთ ეს მოძრაობა (ტაში. ისმის ხმა: ძირს და ხმაურობა).

ამ გართულებულ მდგომარეობიდან არის ერთად-ერთი გამოსავალი—დამოუკიდებლობის გამოცხადება და ფედერატიულად შეკავშირებულ რესპუბლიკის შექმნა (ტაში).

დამოუკიდებლობის გამოცხადებას გვიკარნახებს კიდევ ის გარემოება, რომ სახალხო კომისართა საბჭომ ვერაგულად მისცა ამიერ-კავკასია ოსმალეთს. ამიერ-კავკასიის ხალხი მოიმედე იყო იმისა, რომ რუსეთი მას გამოესარჩლებოდა და დახმარებით გამოეხმაურებოდა ჩვენს მოწოდებას, მაგრამ უკანასკნელი რუსეთის მხრივ დარჩა „ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა“.

დღეს გამწვავებული მდგომარეობაა. ამიერ-კავკასიას საფრთხე ორი მხრით მოელის: რუსეთისგან ბოლშევიკების სახით და ოსმალეთისგან, რომელიც უკვე ჩვენს ტერიტორიაში შემოიჭრა და არა რევოლუციას და თავისუფლებას მარტო, არამედ ჩვენს ფიზიკურ არსებობას საფრთხეში აგდებს. ასეთ პირობებში რყევა დამღუპველია, მომაკვდინებელი ცოდოა. ამიტომ დამოუკიდებლობის გამოცხადება არის აქტი პოლიტიკური აუცილებლობით ნაკარნახევი.

ზოგიერთებს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მოჰყავთ ეკონომიური მოსაზრებანი, მაგრამ რა ეკონომიური დახმარებაა ამიერ-კავკასიისთვის მოსალოდნელი, იმ რუსეთისგან, სადაც ეკონომიური კრიზისი ჩვენზე უფრო ძლიერია? არც ფინანსიური ხასიათის მოსაზრებანი არიან ისე დამაჯერებელნი, რომ ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადება შეაფერხოს. ფინანსების მხრივაც რუსეთში დიდი კრიზისია, ხოლო ჩვენ რუსეთთან ის უპირატესობა გვაქვს, რომ მეტია ჩვენში ბუნებრივი სიმდიდრე, რაც ნორმალურ პირობების შექმნისათანავე საშუალებას მისცემს ამიერ-კავკასიას თავის ფინანსიური პოლიტიკა წარმატების გზაზე დააყენოს.

ვიღებთ რა ყველა ამას მხედველობაში, კომისიის სახელით წინადადებას ვაძლევ სეიმს: გამოაცხადოს მან დამოუკიდებლობა ამიერ-კავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკისა, რომელიც შედის საერთაშორისო დამოკიდებულებაში. მიწა უნდა ეკუთვნოდეს ხალხს. რაც შეეხება ანარქიას, რომელიც ნელ-ნელა იკიდებს ფეხს ჩვენს მიწა-წყალზე, მთავრობამ უნდა მიიღოს სწრაფი და სასტიკი ზომები მის ჩასაქრობად და მოსასპობად. მანვე უნდა მოიგერიოს ყველა მტერი, ვინც კი ამიერ-კავკასიის მთლიანობას საფრთხეს უქმნის და საიდანაც უნდა მოდიოდეს იგი. ხალხთა შორის ძმობა,—აი თავდები ამიერ-კავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკის აყვავებისა და დიდებისა (ხანგრძლივი და ძლიერი ტაში).

**რასულ-ზადე** (მუსავ.). როდესაც ამიერ-კავკასიის ერნი რუსეთთან ერთად ეწეოდნენ საერთო უღელს, მათ აწუხებდათ ერთი მიზანი—ძველი რუსეთის თავისუფალ რუსეთად გარდაქმნა, სადაც ყველას, ყველა ერს საშუალება ექნებოდა თავისუფალ ცხოვრებისა. რევოლუციის საშუალებით უნდა განგვეხორციელებინა ეს საერთო მიზანი, რომლისკენაც ყველანი მიისწრაფოდნენ, მაგრამ მოხდა ისეთი საწყაული, რომელმაც სასოწარკვეთა ყველა იმას, ვისაც კი სურდა დემოკრატიული რუსეთის ხილვა. დღეს იქ თავისუფლების ნაცვლად ანარქიაა გაბატონებული, ხოლო დიდი ლოზუნგი თვითგამორკვევისა ასე შეატრიალეს და შინაარსიანად გააცამტვერეს: გამოერკვიე მხოლოდ ცენტრის ბრძანებათა თანხმად. ასეთმა რუსეთმა უკვე შეჰკრა ზავი თავის მტერთან ამიერკავკასიის ხალხთა ხარჯით. ამიერკავკასიის დემოკრატიამ უნდა დაიცვას მტკიცედ რევოლუციით მოპოვებული უფლებანი და იგი არ უნდა შეეწიროს მსხვერპლად არც რუსეთს და არც ოსმალეთს. ხოლო ჩვენი დამოუკიდებლობა უნდა გამოცხადდეს არა შიშით, არამედ ლინიდის ქვეშ. ეს მოგვცემს საშუალებას თავი დავიცვათ, მაგრამ დამოუკიდებლობას ჩვენ ცოტა დაგვიანებით ვაცხადებთ, რადგან ჩვენ უკვე სამი ოლქი ჩამოგვაჭრეს. მიუხედავად ამისა მაინც დამოუკიდებლობის გამოცხადებით ჩვენ უზრუნველ ვყოფთ ამიერკავკასიის თავისუფალ განვითარებას და შეიძლება დანაკარგიც დავიბრუნოთ.

**გრ. გიორგაძე** პრინციპიალურად საკითხი დამოუკიდებლობისა გადაჭრილია. საამისოდ პირობები უკვე მომწიფებულია. პირველი ამათგანია ის ფაქტი, რომ ჩვენ დამოუკიდებლად ვცხოვრობთ კარგა ხანია. მაგრამ ამიერკავკასიას განკერძოებით ცხოვრება არ შეუძლიან, მისთვის საჭიროა საერთაშორისო ურთიერთობაში შესვლა: ამისთვის კი საჭიროა მისი პოლიტიკურად გარკვეული სახეობა და ასე სახელმწიფოთა ოჯახში შესვლა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დამოუკიდებლობა გამთიშველ ძალებს ალაგმავს და უმტკიცესად შეაკავშირებს ამიერ-კავკასიის ერებს.

არ დავმალავ, რომ ჩვენს ფრაქციაში არის მეორე თვალსაზრისი, რომელიც ოპტიმისტურად არ უყურებს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, მაგრამ ამის მოზიარე ნაწილიც გულწრფელად მოწადინებულია მათი აზრი არ გამართლდეს და ისინიც ხელს შეუწყობენ მთელის თავის არსებით, რათა ამიერკავკასიას სახელმწიფოთა შორის ღირსეული ადგილი ჰქონდეს დაჭერილი. (ტაში).

**თუმანოვი.** (ს.-რ.) ეს-ერთა პარტიის საოლქო კომიტეტის იმ ნაწილის სახელით, რომელიც დამოუკიდებლობის წინააღმდეგია, ვაცხადებ, რომ ჩვენ ყოველთვის ერთა თავისუფლებას ვიცავთ, ვიცავთ ერთა დამოუკიდებლობასაც კი, მაგრამ ამ შემთხვევაში ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას არ ვზიარებთ მიზან-შეწონილობის კარნახით. დამოუკიდებლობას ამიერ-კავკასიისაგან მოითხოვენ ოსმალეთის იმპერიალისტები და იგი ეწინააღმდეგება ჩვენს ინტერესებს.

თუ დამოუკიდებლობა გვინდოდათ, რატომ დამფუძნებელ კრების არჩევნებზე არ ამბობდით ამას, რატომ ხალხს არ ეკითხებოდით, რატომ არ ახდენთ რეფერენდუმს? რუსეთის ორიენტაცია რეაქციონური კი არა, რევოლუციონურია. ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა არის ნიშანი ოსმალეთის ბატონობისა, ამიტომ მას ჩვენ მხარს არ დავუჭერთ.

**სემიონოვი** (კადეტი) იხსენიებს დამოუკიდებლობის საკითხის ისტორიას და აღნიშნავს, რომ მას აცხადებენ მუსავათელთა ზეგავლენით, თუმცა დამოუკიდებლობის სასარგებლოდ არც ერთი პრინციპიალური მოსაზრება არა აქვთ, და ბოლოს იგი წინადადებას აძლევს: სეიმი, რომელიც უფლებამოსილი არ არის ამ საკითხის გადაჭრაში, დათხოვნილ იქმნას და მოიწვიოს ახალი დამფუძნებელი და საკანონმდებლო ორგანო.

(ვ. გვაზავას სიტყვა ხვალინდელ ნომერში იქნება მოთავსებული).

**ივ. ლორთქიფანიძე** (ს.-რ.) ეს-ერთა საოლქო კომიტეტის მეორე ნაწილის სახელით აცხადებს, რომ იგი ემხრობა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას.

**კაჩაზნუნი.** (დაშ.) აცხადებს, რომ მისი ფრაქცია ემხრობა ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას.

**გეორგი ლასხიშვილი.** (სოც.-ფედ.) აცხადებს, რომ საქართველოს სოც.-ფედერ. პარტია მოითხოვდა და მოითხოვს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობას და მას მთელის არსებით დაიცავს.

**კანტემიროვი.** (მუს. სოც. ბლოკი) **აგამალოვი** და **შეიხ-ულისლამოვი** (ჰუმეტი) ემხრობიან. აღამალოვი აცხადებს, რომ ამიერ-კავკასიაში ერთ დღე დაღესტანიც შემოვა.

**რ. არსენიძე** აცხადებს, რომ მისმა პარტიამ ერთი კალმის მოსმით არ გადასწყვიტა ეს ძნელი საკითხი, რომ მას სურს რუსეთის ნამდვილი დემოკრატიამ, არა საჭირო, სწორედ გაიგონ ამიერ-კავკასიის მიზანი ჩამოშორებაზე. იგი ამბობს ჩვენ სულიერ კავშირს რუსეთის დემოკრატიასთან არ შევწყვეტთ, ჩვენ კვლავ ალფრთოვანდებით იმ მაღალ იდეებით, რომელთა გულისთვის რუსეთის დემოკრატია იბრძვის.

მან უნდა დაინახოს, რომ დამოუკიდებლობა ეძლევათ ხვედრად, რომ ხალხის ინტერესი მოითხოვს გართულებულ მდგომარეობისგან სწორედ ამ გზით გამოსვლას. რუსეთი არ დაივიწყებს, რომ ჩვენ მათთან გვაერთებს ლოზუნგი: „პროლეტარებო—ყველა ქვეყნისა შეერთდით“. (ტაში).

ამბობენ, თითქოს ჩვენი ორიენტაცია ოსმალეთის ორიენტაცია იყოს. არა, იგი სწორედ მის საწინააღმდეგოა.

**თუმანოვი.** (ს.-რ.) განმეორებით აცხადებს, რომ ჩვენ მხარს არ დაუჭერთ ამიერ კავკასიის დამოუკიდებლობას.

**ი. გობეჩია.** (ს.-რ.) აცხადებს, რომ ჩვენ ხმას მივსცემთ დამოუკიდებლობასა.

შემდეგ მცირე კამათი მოხდა, დ. ონიაშვილი გამოეხმაურა სემიონოვს, ხოლო რასულ-ზადე—თუმანოვს.

## რეზოლიუცია

**ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობის შესახებ**

1. ამიერ-კავკასია გამოცხადდეს დამოუკიდებელ რესპუბლიკად: ეს ეუწყოს სახელმწიფოებს.

2. დაევალოს მთავრობას დაუყოვნებლივ წარმოადგინოს ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ ფედერატიულ დემოკრატიულ რესპუბლიკის კონსტიტუციის კანონ პროექტი.

შემდეგ სეიმს საზავო დელეგაციის თავმჯდომარე აკ. ჩხენკელმა ვრცლად მოახსენა მოლაპარაკების მიმდინარეობა. (შინაარსი—შემდეგ ნომერში).

## რეზოლიუცია ზავის შესახებ

მოისმინა რა მოხსენება სამშვიდობო დელეგაციისა, სეიმმა წინადადება მისცა მთავრობას გააგრძელოს საზავო მოლაპარაკება და ყოველივე ზომები მიიღოს სამხედრო მოქმედების დაუყოვნებლივ შესაწყვეტად და ზავის ჩამოსაგდებად. ამასთან ერთად სეიმი წინადადებას აძლევს მთავრობას ენერგიული ზომები მიიღოს მხრის თავდაცვისათვის.

„მუსავატის“ ფრაქციამ წარადგინა საკუთარი რეზოლიუცია, რომლის მიხედვით დელეგაციას ნდობა ეცხადება ბოლოს და ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მიღება.

ხატისოვმა აღნიშნა, რომ საჭიროა ნორჩ სახელმწიფოს ადგილობრივმა ერებმა თანასწორად და ერთგულად ხელი შეუწყონ, რათა იგი გაძლიერდეს და გაღონიერდეს.

სეიმის თავმჯდომარემ ნ. ს. ჩხეიძემ სეიმში აპრილის 9-ის სხდომაზე წაიკითხა ამიერ-კავკასიის მთავრობის თავმჯდომარის ევ. პ. გეგეჭკორის წერილი, რომელიც მიწერილია ჩხეიძის სახელობაზე. ამასთან ნ. ს. ჩხეიძემ განაცხადა, რომ მის წინადადების თანახმად აკ. ი. ჩხენკელი დასთანხმდა ახალ კაბინეტის შედგენაზე.

## ევ. პ. გეგეჭკორის წერილი

**ღრმად პატივცემულო ნიკოლოზ სიმონისძევ.**

ამ წლის თებერვლის 24-ს სეიმის დადგენილების სისრულეში მოსაყვანად თქვენ მოისურვეთ მოგენდოთ ჩემთვის ამიერ-კავკასიის მთავრობის შედგენა.

მთავრობის წევრებად მე მოვიწვიე ის ერთი პირები, რომლებიც დაეთანხმდნენ ცხოვრებაში განსაკუთრებულ პროგრამის გატარებაზე. პროგრამა მე გამოვაქვეყნე ამიერ-კავკასიის სეიმის სხდომაზე მარტის 12 ახალ მთავრობის დეკლარაციის სახით.

დეკლარაციით გამოქვეყნებულ პროგრამის ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხების შესახებ, რომლებიც ცხოვრებაში ტარდებოდა, კაბინეტში სრული ერთსულოვნება იყო.

მარტის 31-ს სხდომაზე სეიმს მთავრობის სახელით მე წარუდგინე მთავრობის გადაწყვეტილება იმის შესახებ თუ რა ნაბიჯები უნდა იქმნას გადადგმული ოსმალეთთან ომისა და ზავის საკითხში. მაშინ სეიმმა მთავრობის გადაწყვეტილება მოიწონა. აპრილის 7-ს, მთავრობის სხდომაზე, იმავე საკითხის შესახებ უთანხმოებამ იჩინა თავი და ხმის უმრავლესობით უარყოფილ იქმნა მთავრობის ძველი პლატფორმა.

ამის გამო მაქვს პატივი გაცნობოთ მოახსენოთ ამიერ-კავკასიის სეიმს, რომ ის მთავრობა, რომლის თავმჯდომარეც მე ვარ, საჭიროდ სთვლის თანამდებობიდან გადადგომას.

ამიერ-კავკასიის მთავრობის თავმჯდომარე და სამხედრო მინისტრი **გეგეჭკორი.**

## დასავლეთი, სამხრეთი თუ ჩრდილოეთი?

საქართველოს წინაშე დღესაც აღიმართა ის საბედისწერო საკითხი, რომელიც დაესახა მას ამ 140 წლის წინათ: სამხრეთი და დასავლეთი თუ ჩრდილოეთი? რუსეთთან კავშირი თუ ოსმალეთ-ირანთან?

ამ 140 წლის წინათ წვრილი სამეფო-სამთავროების სახით ექსით დაგლეჯილი ისედაც პატარა საქართველო წარმოადგენდა საცოდავ სურათს. იგი მოგაგონებდათ ოკეანეს ზვირთებში აქა-იქ დამსხვრეულ და ანძებ დაფლეთილ გარიყულ გემს. მართლაც, მთელი ექვსი საუკუნე საარაკო თავგანწირვით ებრძოდა ქართველი ერი მუსლიმთა უსაშინელეს ტალღებს და მოაღწია ცოცხალი, მაგრამ დაფლეთილი, მეთვრამეტე საუკუნის ბოლომდე. აქ მიმეთ დაქანცულმა და სისხლით დაცლილმა ერმა ვეღარ შესძლო ვერც გაერთიანება, ვერც დამოუკიდებელი ცხოვრება, დაუწყო ძებნა ძლიერ მფარველს და მოკავშირეს აღმოსავლეთითან და სამხრეთიდან მოზღვავებულ მტრების, ე. ი. მძლავრი სპარსეთის და ოსმალეთის წინააღმდეგ. და რადგან დასავლეთი მიუწდომელი იყო მისთვის, ვინაიდან საქართველოსა და ევროპის განათლებულ სახელმწიფოებს შორის გარდუვალ ზღუდედ ჩამდგარი იყო ოსმალეთი, ქართველი ერი იძულებული გახდა მიეპყრო თვალები ჩრდილოეთით და გაეშვირა სისხლიანი ხელი ორთავე არწივისათვის.

ამ დროს საოცარი სისწრაფით იზრდება რუსეთის ნორჩი იმპერია, მოგოჭრავდა სამხრეთით და უპირებდა ჩანთქმას ორს ვეშაპს, საქართველოს მტრებს,—სპარსეთსა და ოსმალეთს, რომლებთან ადრევე მოუხდა შეტაკება. ეჭვი არაა, ბრძოლით დაქანცული და დაგლეჯილი საქართველო მოისურვებდი კავშირს, მფარველობას და სთხოვდა შველას ერთმორწმუნე, ძლიერ რუსეთს, რომლისთვისაც კოლხეთ-იბერიის უსისხლოთ ხელში ჩაგდება და მით დარიალის კარების გაღება იყო ფრიად ხელსაყრელი, რადგან ამით ეხსნებოდა გზა მთელი კავკასიის და სპარსეთ-ოსმალეთის დასაპყრობათ.

ასეც მოხდა. აღსრულდა ისტორიის საიდუმლო ზრახვანი. ჯერ აღმოსავლეთი საქართველო შეუკავშირდა რუსეთს 1783 წელს ერეკლე მეფესა და ეკატერინე მეორის შორის დადებულ ტრაქტატით და შემდეგ 1803—1810 წლებში დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები შეუერთდენ რუსეთს ძალით თუ ნებით...

ნეტარა შეგვძინა რუსეთის მფარველობამ? არ იქნება ურიგო გადავფურცლოთ ისტორიის კაბადონი. ჩრდილოეთით ხელის შველა შეიქნა საბედისწერო ქართველი ერისათვის კიდევ ამ სამასი წლის წინათ. მეთექვსმეტე საუკუნის დამლევს კახეთის მეფე ალექსანდრემ პირველად მიაქცია ყურადღება რუსეთს და გაგზავნა მოსკოვს ელჩები მეგობრულ კავშირისათვის. ძვირათ დაუჯდა ეს ბედკრულ ალექსანდრეს ასეთი განძრახვა. ამ ამბის გამგონემ სპარსეთის ბატონმა შაჰ-აბაზმა აუმხედრა ალექსანდრე მეფეს მისივე შვილი მაჰმადიანი კონსტანტინე, რომელმაც შაჰის შთაგონებით და სპარსელ ჯარის დახმარებით მოჰკლა საკუთარი მამა, ძმა და დაიპყრო კახეთის ტახტი. ამრიგად რუსეთთან პირველ დაახლოების შედეგი იყო კახეთის სამეფო სასახლეში მოხდენილი საშინელი ტრაგედია. და ამ პირველ მარცხს მალე მოჰყვა სხვა ბევრათ უფრო საზარელი მარცხები და ქართველი ერის უბედურება.

ალექსანდრეს ვაჟი თეიმურაზ I გაჰყვა მამის კვალს. მან გაგზავნა ელჩები რუსეთს და დაუწყო ზიზღება შაჰ-აბაზს. ამ ღალატიანურ ინტრიგაში თეიმურაზმა ჩაითრია ქართლის უხასიათო მეფე ლუარსაბ II. ჯაშუშების წყალობით შაჰ-აბაზმა მაშინვე სცნო ყველაფერი და მიიღო ჯერ ყოველგვარი კაცთმოყვარე ზომები: დაყვავებით, დაპირებით, ფულით და ფეშქაშებით ბევრი უშალა ორთავე მეფეს მოშორებოდენ ამ სახიფათო გზას და ხელი აეღოთ მოსკოვის სამეფოსთან დაახლოვებაზე.—„რუსი შორს და ვერაგია, იგი არც მე და არც თქვენ ხეირს არ დაგაყრისთ“, უმტკიცებდა გენიოსი შაჰ-აბაზი ჩვენს გონება ჩლუნგ მეფეებს. მაგრამ, სავალალოთ, არაფერმა გასჭრა. მაშინ განრისხებული ირანის ლომი წამოვიდა ძლიერი ჯარით და მოადგა ქართლ-კახეთს. სხვა და სხვა ხრიკებით ჩაიგდო ხელში თეიმურაზის ორი ვაჟი და დედა ქეთევანი, აგრეთვე ლუარსაბიც, რომლებიც აწამა შემდეგ. თეიმურაზმა კი აფარა თავს ეშველა იმერეთში და იქიდან დაიწყო რუსეთს ელჩების გზავნა. რუსის მთავრობა ჩაერია საქმეში. მაშინ გაბრაზე-

შული შაჰ-აბაზი ლეკარეთ შეიჭრა კახეთში უამრავი ჯარით, ცეცხლსა და მახვილს მისცა ყველაფერი... დატრიალდა მშვენიერ კახეთში უუბადლო ტრაგედია, რომლის მგზავსი არ ენახა ჯერ ბედშავ საქართველოს. მხეცათ ქცეულმა შაჰმა ბასრა სოფლები და ქალაქები, გაწყვიტა 80.000 სული ადამიანი, აჰყარა და გადაასახლა სპარსეთს 150.000 კაცი და ქალი, რომელთა ოთხი წილი გაწყდა გზაში შიმშილ—სიცივისაგან. მეორეთ მოსვლის მგზავსი რამ დატრიალდა ალაზნის ველზე და ეს საშინელება მოხდა თეიმურაზის სიბრიყვით და რუსეთთან დაახლოებით...

შაჰ-აბაზი კიდევ უარესად უპირებდა დასჯას ქართლს, რომ მის მხნედლათ განგებას არ მოევლინა დიდებული სარდალი გიორგი სააკაძე. მცირე რაზმებით, მოულოდნელი დაცემით და სათარეშო ბრძოლით მან თანდათან გასწყვიტა სპარსელი ჯარები და იხსნა საქართველო დაღუპვისაგან.

მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს რუსეთის იმპერატორმა პეტრე დიდმა გაუმართა ბრძოლა სპარსეთს და ამ ავანტიურულ ომში ჩაითრია ქართლის მეფე ვახტანგ VI. ქართლის რაინდი მეფე და დიდებულნი ენდვნენ რუსეთის იმპერატორს და საკმაო ჯარით გაემართნენ საომრათ სპარსთა წინააღმდეგ. ამ დროს პეტრე დიდმა შეუკრა ზავი სპარსეთის შაჰს გუსეინს, მუხანათურათ უღალატა ქართლის მეფეს და მით ჩააგდო დიდ განსაცდელში. მრისხანე შაჰ ფაშარავი ჯარით მოადგა ქართლის საზღვრებს ჯავრის საყრელათ, გაძევა მეფე და მისი მომხრენი და მიუზღვა ქართლი კახეთის მეფეს. ვახტანგ VI ცოლშვილით ათასის 1200 თავად-აზნაურით და მათი ოჯახობით იძულებული გახდა გადასახლებულიყო რუსეთს. ეს იყო მესამე დიდი მარცხი რუსეთთან დაახლოების გამო.

ამით არ გათავდა საქმე. რუსეთის დედოფალმა ეკატერინე მეორემ ყირიმის გამო გაუმართა სასტიკი ომი ოსმალეთს და სთხოვა დახმარება კოლხეთ იბერიის მეფეებს. გამოიყვანეს ერეკლე მეორე და სოლომონ პირველი, დაარღვიეს ოსმალეთთან მეგობრული ზავი. საქართველოში ჩამოვიდა ერთი პოლკით და ზარბაზნებით რუსეთის გენერალი ტოტლებენი, რომელთან ერთად ოსმალთა წინააღმდეგ გამოვიდა ერეკლე მეფე 5,000 კაცით და გაემართა ახალციხისკენ. აქ ს. ასპინძასთან თავი მოეყარა ოსმალთა ჯარს რიცხვით 30,000 კაცს. ბრძოლის წინა დღით ტოტლებენმა მიიღო რუსეთიდან ბრძანება: „ზავი შეჰკარით ოსმალეთთან და დაბრუნდი უკანაო“. ტოტლებენმა დაპირა წასვლა. ამ ამბავმა ელდა დასცა ერეკლე მეფეს. მისმა თხოვნამ და მუდარამ ვერ იმოქმედა რუსის გენერალზე. ტოტლებენი დაბრუნდა თავის ჯარით და დასტოვა ერეკლე თავის მცირე რაზმით უამრავ მტრის წინაშე. ერეკლე გმირი იძულებული გახდა მარტოთ შებმოდა მტერს. იგი ეკვეთა თავგანწირვით ოსმალთ და სასახელოდ გაიმარჯვა. მაგრამ ამ მოქმედებით ერეკლემ საუკუნოთ გადაიმტერა ოსმალეთი, სპარსეთი და დაღესტანი, ე. ი. მთელი მუსლიმი. ერეკლე მეფე სწერს ვრცელ ბარათს პანინს (რუსეთის მინისტრს), რომლის პირით სთხოვს ეკატერინე მეორეს ჯარებით დახმარებას და აღნიშნავს შემდეგ: —„თქვენის მიზეზით თურქები, როგორც შხამიანი გველები, გვეხვევიან ირგვლივ, სპარსელნი გვიცქერენ, როგორც ბრაზიანი ლომები, ლეკები კი ილესენ კბილებს ჩვენს წინააღმდეგ, როგორც მშიერი მგლები. ყველანი ერთად ბოროტებენ შურის ძიებით, რადგან ჩვენ, ქართველებმა დავარღვიეთ ზავი მათ შიმართ და თუ ისინი მოგვსპობენ მე და მთელ საქართველოს, მაშინ ვინ აგებს პასუხს ღვთის წინაშე, ან რა სარგებლობა ექნება ამით რუსეთის იმპერიას?! ამიტომ მოელით მოწყალება ჩვენს მართლმადიდებელ ხალხზე. მე და სრულიად ჩემი ქვეყანა ვესავით ღმერთზე და ყოვლად მოწყალე რუსეთის იმპერატრიცაზე“.

ამ სიტყვებს განმარტება არ ეჭირვება. აქედან ნათლად სჩანს, თუ რა საშინელ განსაცდელში ჩაუყენებია საქართველო რუსეთთან დაახლოვებას და რუსის ხელმწიფეთა ერთგულებას. სავალალოდ, ახლაც იგივე ხდება. 140 წლის შემდეგაც, მიუხედავად ასეთ ცხელ მაგალითებისა, ქართველი ერის ერთი ნაწილი, ზოგიერთი სოციალ-დემოკრატების ზეგავლენით, ისევ ბრმათ ეთაყვანება უკვე დამსხვრეულ რუსეთს და მზათ არის შესწიროს მთელი საქართველო რუსის ხალხის კეთილდღეობას.

ს. ქვარიანი.

(დასასრული იქნება)

## თეატრი და ხელოვნება

### ოტელლო.

უკვდავი პიესა. უკვდავი თავის ადამიანური ელემენტით, ვაება-განცდით, გრძნობათა ღელვით. რა გრძნობიერეთ, რა გულწრფელობით და ძლიერად განასახიერა ბ-ნმა იმედაშვილმა ოტელლო მოტყუებული, ოტელლო იჭვით მოცული, განმარტოებული, გაწვალებული!

რა ნეტარებაშია ოტელლო, როდესაც გულძლიან მოადგება და ეალერსება დეზდემონას. გმირს მათი შეღწევრება, მათი წმიდა გრძნობა და ურთიერთი ანკარა სიყვარული. მაგრამ გამოდის ბოროტი სული იაგო (ბ. კორიშელი) და ხელოვნურად ჰსთესს მათ შორის უნდობლობას. ოტელლო იჭვიანობს, ოტელლოს გულში ჯოჯოხეთი ანთება. და მაყურებელიც ძალაუნებურად მსახიობის თამაშით გატაცებული, თანაუგრძნობს მას და ოტანჯვის მისი ტანჯვით. როდესაც მაყურებელი იზიარებს როლს მთელის გრძნობით, თანამოაზრე ჰხდება მისი განცდა-ვაებით, მაშინ ვიტყვით, რომ მსახიობი ხელოვნურად კი არა, ბუნებრივად ასრულებდა როლს. ამაში გამოიხატება ნიჭი უტყუარი, ნიჭი ზეგარდმო. მსახიობი იყო ძლიერი, როდესაც სიტყვიერად გადმოგვცემდა თავის განცდას და მაშინაც, როდესაც თამაშობდა უსიტყვოდ. ასეთი იყო მსახიობი პირველ ოთხ მოქმედებაში. უკანასკნელ მოქმედებაში—ცოლის მოკვლის წინა სცენაში, ამ მკვლელობის შემდეგ და თავის მოკვლის წინ, სადაც ოტელლო ერთგვარ სულიერ სისუსტეს განიცდის,—მსახიობმა ვერ დაგვაკმაყოფილა. აქ მას უფრო დაღლილობა ეტყობოდა, ვიდრე სულიერად დასუსტება. დეზდემონას როლი, რამდენადაც მნიშვნელოვანია პიესით, იმდენად ღარიბია სიტყვებით. მთელ პიესაში არც ერთი მონოლოგი არ არი, სადაც დეზდემონას ოტელლოსავით შეძლება მიეცეს თავის განცდა სიტყვიერად გადმოგვცეს. არც ერთი სცენა არაა ოტელლოსთან, თუ სხვასთან, სადაც მას ორიოდე სიტყვის გარდა სხვა რამე ჰქონდეს სათქმელი. ქ-მა დავითაშვილმა მაინც შეძლებისამებრ დაგვიხატა უმანკო და უდანაშაულოდ გაწვალებული დეზდემონა.

იაგო ბნელი, ვით ღამე, ბოროტი, ვით ჯოჯოხეთის ქმნილება, ვერ განასახიერა ბ-ნმა კორიშელმა, შეუფერებელი გვეჩვენა მისი სახე მუდმივ ანგელოზებრივ სუფთა და უმანკო. იაგოს გარეგნობა უნდა ჰქონდეს ბოროტი, პირქუში, იუდას მზგავსი, მაშინ, როდესაც მარტო რჩება.

ერ. დუკაშვილი.

### კონცერტი კონსერვატორიაში

კვირას, 8 აპრილს, კონსერვატორიაში გაიმართა ი. აისბერგის და ე. გუზიკოვის კონცერტი. პროგრამა განსაკუთრებით შესდგებოდა ძველ კლასიკურ კომპოზიტორებისაგან და მართლაც, რომ დიდად საინტერესო იყო იგი, ჩვენი საზოგადოებისათვის ამისთანა კონცერტები სასურველია ჯერ იმით, რომ იგი გაიცნობს კლასიკურ მუსიკას, ვითარდება, ეჩვევა მის ფორმას და შემდეგ, მისთვის ადვილია მოისმინოს ახალი რთული და განვითარებული მუსიკალური ჰარმონია. მით უმეტეს სასურველია ახალგაზრდა მოწაფეებისათვის ამგვარი შინაარსიანი კონცერტები. ჰხედავენ იმ სანატრელ სარკეს, რომელიც ნათლად აჩვენებს საუკეთესო ასრულებას. არტისტის მიხედულობით მოწაფე ვარჯიშობს, ვითარდება და წარმატების გზას ადგია. ამისთანა პროგრამის კონცერტები სასურველია ყოველს მხრივ. კონცერტი დაიწყო ჰენდელის სონატით T- dut სკრიპკისათვის.

მუსიკალურის მხრივ არავითარ საინტერესოს არ წარმოადგენს. როგორც ჰარმონიით ისე მუსიკალური ფორმით. ჰენდელი დიდებული კომპოზიტორია გიგანტურ ორატორიებით და არა პატარა ნაწარმოებით.

გუზიკოვმა კარგად შეასრულა როგორც ტეხნიკის, ისეთვე ტონის მხრივ.

გუზიკოვმა საზოგადოებაში დაიმსახურა კარგი სახელი და როგორც სკრიპკის დამკვრელს ფრიად სასიამოვნოთ ისმენენ. ხშირად გამოდის კონცერტის ესტრადაზედ და ყოველთვის საინტერესო პროგრამით. ამით ხელს უწყობს მუსიკალურ განვითარებას და თვით არტისტის შრომა ყურადღებას არაა მოკლებული. ჰენდელის სონატის ასრულებაში გუზიკოვს აკლდა სინაზე, დიდის ტონით უკრავდა და სმენა მეტად დაიღალა ერთფეროვან ასრულებით. არტისტმა თავის ტონი და გრძნობიერი ასრულება გამოიჩინა ლარგოში. სასურველია, რომ გუზიკოვმა ყურადღება მიაქციოს ტონის სინაზეს, ალერსს და ელასტიურ შესრულებას. სხვა მხრივ გუზიკოვი დაჯილდოვებულია ბუნებიდან და ადვილად შეუძლიან შეავსოს თავის ნაკლი.

რაც შეეხება პიანისტ აისბერგს—მის დაკვრას უფრო აკადემიური ხასიათი აქვს ვიდრე ვირტუოზული. არტისტის დაკვრაში არ გამოიხატებოდა აღფრთოვანება, ჩასწვდომა, ენერგია და ლამაზი—უმანკო კეკლუცობა. რითაც ძველი კლასიკური მუსიკა ასე მდიდარია.

ტეხნიკის მხრივ ძალიან სუსტად იყო შესრულებული, რადგან მას მარჯვენა ხელი არ შეეფერება მარცხენას. რაც შეეხება ტონს—არტისტს არ შესწევს ძალა და ამისთვის აისბერგი უმეტეს ნაწილად უკრავს ჩუმათ.

ხალხი საკმაოდ დესწრო.

ილიკო აბაშიძე.

## კორესპონდენცია

### თიანეთიდან

ერწო. (თიანეთის მაზრა). გაგვიზაფხულდა, მაგრამ ყაჩაღებმაც მოჰყვეს თავიანთ ხელობას ხელი. აგერ ოთხი წელიწადია, რაც ყაჩაღათ არის გავარდნილი სოფ. მელიასწყველი მცხოვრები არსენა კოკოზაშვილი. ეს არსენა, ძველი ყაჩაღ არსენასავით გულკეთილი კაცი არ არის, პირიქით მეტის მეტი მკაცრი და შეუბრალებელია. მისთვის კაცის კვლა და ქათმისა ერთია; ბევრ ვნებასა სჩადის. ძველი პოლიცია მევრს ცდილობდა მის შეპყრობას, მაგრამ ვერაფრით ვერ ჩაიგდო ხელში. და ამ დროში ხომ ვიღასი ეშინიან. სხვათა შორის ამ ზამთარს არსენას მეამხანაგდა სოფელ თოლენჯას მცხოვრები „კოლა“. კოლას ყაჩაღათ გასვლა კი შემდეგი მიზეზი იყო: ომის დაწყობის წინეთ კოლა სხვა ამხანაგებით ერთს კაცს შეუვარდა და გაძარცვა; ამაზედ ის შეიპყრეს და ციხეში ჩასვეს, ხოლო მისი ცოლი სხვას გაჰყვა სოფ. საყდრიონში. ხალხში საერთო თავისუფლება რომ გამოცხადდა, კოლა განთავისუფლდა და თანაც ჯარში წაიყვანეს, მაგრამ თებერვლის პირველებში სალდათობიდგან დაბრუნდა. აქ ის გადაწყვეტით ლაპარაკობდა ყველგან, ვისიც ჯავრი მჭირს უნდა ამოვიყაროო. ცოლის ამიტომ გავიდა ყაჩაღათ. გარდა იმისა, რომ მისი ცოლი სხვას გაჰყვა, კიდევ ეჭვი ჰქონდა მიტანილი ერთ თავის მეზობელ მათე კბილცეცხლაშვილზე, ჩემს ცოლსა ჰყვარობდაო და ამოიყარა კიდეც მაზედ ჯავრი. მარტის 21-ს კოლა თავის ამხანაგ არსენათი მიუვარდა მათე კბილცეცხლაშვილს, რომელიც მინდორში მიწასა ხნავდა, ესროლეს თოფები, ერთი კამეჩიც მოკლეს, ხოლო მათეს თოფით მოკვლა არ აკმარეს, მივარდნენ და ხანჯლებით აკუწეს, მერე არხეინად გასწიეს სხვაგან. ეს ყაჩაღები ბევრს სხვებსაც უთვლიან მუქარას. ამაზედ უარესი უბედურობა მოხდა სოფ. სვიმონიანთ-ხევზედ. მარტის 21-ს სმის დროს ჩხუბი მოუვიდათ გიგა არაქელოვს და ხარაზს სიკო მეხიშვილს, ორთავემ რევოლვერები ძარეს და ერთმანეთს მიცხრიეს; ამათ შუაში ჩაუვარდათ კოლა ბლიაშვილი და აშველებდა, ამას მოუბრუნდა სიკო მეხიშვილი როგორც თუ არ მიშველებო და ესროლა. ამ რიგად გამოსალმა უდანაშაულო ადამიანი წუთი სოფელს. სოფელმა რომ გაიგო უდანაშაულო კაცი მოკლესო იგრიალეს ერთბაშათ, დაიჭირეს სიკო, გაიყვანეს სოფლის ბოლოს, ჯერ ქვები დაუშინეს და მერე ერთბაშათ მიაყარეს ტყვიები და სულ დაცხავეს. 20 მარტს ერწოს და ახატანს შუა ტყეში მოკლეს გიგო ტუსიშვილი. წარსულ კვირაში სოფელ ძებნაურში სადამოთი მოკლეს ერთი მთიულებან ჩამოსული ხევსური. აქვე ამავე სოფელში მცხოვრებ ორ კაცზედ მიიტანეს, კიდეც შეიპყრეს მაგრამ ისევ გაუშვეს. ერთი სიტყვით ყველგნით შიშის ზარის ხმა ისმის.

ხალხი მოწყენს იყოფენ, ბევრი უკვე მოეწყნება და აყალ-მაყალი ხდება მიწების გაყოფაზედ. ზოგგან ადამიანების მსხვერპლიც არის.

ქართველი ოხებში ნამყოფი.


ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლად მიიღება ეროვნულ საბჭოს სამმართველოში, (ფრეილინის ქუჩა, 11, სათავადო სახლი) დილის 11—3-მდე

ქართული კლუბი
კვირას, 15 აპრილს 1918 წ.
სადღესასწაულო ვ. ა. აბაშიძის წარმოდგენა
| 40 წლ. სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად |
გაიმართება ორი წარმოდგენა
დილით: კეკო — კომედ. 2 მოქ. გ. სუნდუკიანცისა.
საღამოთი: ნამუსისათვის — პიესა 4 მოქ. შირვანზადესი.
მონაწილეობენ ძველი და ახალგაზრდა მსახიობნი.
პიესებს სდგამენ ა. წუწუნავა და კ. შათირიშვილი.
ბილეთები იყიდება. 6—943—3

ახალი წიგნი
გრიგოლ ვეშაპელი.
საქართველო და რუსეთი
საქართველოს ისტორიული საზღვრების რუკით.
ფასი 1 მანეთი და 50 კაპ.
წიგნი იყიდება: „საქართველოს“ კონტორაში და კიკნაძის „ნოვაია რეჩის“ წიგნის მაღაზიაში.

მომხმარებელ საზოგადოების
„დახმარების“
გამგეობა აძით აუწყებს საზოგადოების წევრებს, რომ თანახმად 4 აპრილის საზოგადო კრების დადგენილებისა კოოპერატივი „დახმარება“ შეუერთდა
კოოპერატივ „ივერიას“
და გაერთიანებული კოოპერატივი მოქმედებას დაიწყებს 15 აპრილიდან.
მთავარი მაღაზია მოთავსებული იქნება ერევნის მოედანზე, ყოფილ ძმ. ფირალიშვილების მაღაზიაში, ხოლო განყოფილება—ოლღის ქუჩაზე,—იქ, სადაც დღეს იმყოფება „დახმარება“.
საზოგადო კრების დადგენილებით თითო წევრმა უნდა გადაიხადოს 5 მ. საწევრო ფული და 50 მ. სამარაგო გადასახადი. წინად მიღებული ფული ჩაითვლება ამ თანხაში, ისე რომ ვისაც გადახდილი აქვს 18 მანეთი, უნდა ხაზინაში შემოიტანოს დანარჩენი 42 მანეთი.
ფულის შეტანა და წევრად ჩაწერა შეიძლება დღეიდან ორთავე ზემოხსენებულს მაღაზიაში. აგრეთვე: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (იგ. ავლაბარში) და გაზეთ „საქართველოს“ კანტორაში.

მარტის 20 გაიხსნა ახალი
სამკურნალო
უკბილებოთ ავადმყოფთათვის
ექიმ ი. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეთიანცის
სამკურნალოში იღებენ კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და („კიროჩნის“ ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კიროჩნის ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 საათ.
ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.
ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

სამკურნალო კაბინეტი ექიმ
ალექსანდრე დავითის ძის
კეკელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებთა და ბავშვთათვის 4—5 დანარჩენები 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ ტელეფონი 14—28.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
კალანდარიშვილი
ჟენევის ქალაქის ქალთა კლინიკისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათა ავადმყოფებს იღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7.
ტელ. № 17—21.

ექიმი
მ. ნინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ.-ის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა. გულისა, ფილტვისა და ხახხნის სნეულებისა სპეციალურად. ღებს: დილით 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, ყოველ დღე, გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლო, სასტუმრო „ზიმ-მონდის“ პირდაპირ.
თ—1018—25

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 11—12 საათამდე და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11. თ—1536—16

ექიმი
დიმიტრი (რამინ) იოსების ძე
ყორდანია
სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა.
გორის ქუჩა № 6, დიდუბე.
ტელეფონი 14—37
1თ—960—33


სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა გაბაევის შესახვევი № 4.